



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა N 2

ქ. გარდაბანი



31/01/2023

2-06-4-202301311523

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 თებერვლის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს,

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 თებერვლის №4 დადგენილებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 23/02/2022, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.161.016503) დამტკიცებულ დანართ N1-ში და დანართი N1-ის პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1

საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ოდენობა (ზღვრული ოდენობა)

საკრებულოს იმ წევრებისთვის, რომლებიც არ არიან თანამდებობის პირები, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული, ყოველთვიურად ასანაზღაურებელი ხარჯების ზღვრული ოდენობა არ აღემატება გარდაბნის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ოდენობის 15%-ს და ანაზღაურდება გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.”.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

